ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 790 20-33-05
577 47-43-34

საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №60

05 მარტი 2013 წ.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესა და ,,გურიის რეგიონალური განვითარების სააგენტოს“ (ს/კ - 437058149) თავმჯდომარეს შორის 2011 წლის 4 მარტს დადებული თხოვების ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების ფლობის, განკარგვის და ქონებით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ” ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 13 ივნისის №32 დადგენილების მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გაუქმდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესა და ,,გურიის რეგიონალური განვითარების სააგენტოს“ (ს/კ - 437058149) თავმჯდომარეს შორის 2011 წლის 4 მარტს დადებული ხელშეკრულება, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალების, ავტომანქანა ,,ნივა ვაზ 2121“, სახელმწიფო ნომერი - QZQ 855; ძრავის N7997722, ძარა N1798466; ნარჩენი ღირებულებით 4620,93 (ოთხიათასექვსასოცი ლარი და ოთხმოცდაცამეტი თეთრი) ლარი, თხოვების ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ.
2. ,,გურიის რეგიონალური განვითარების სააგენტო“-ს (ს/კ - 437058149) თავმჯდომარემ (მამუკა დოლიძე) სარგებლობის უფლებით გადაცემული სატრანსპორტო

საშუალებების დაბრუნება მოახდინოს ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში, შესაბამისი ცვეთის გათვალისწინებით, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს მუნიციპალიტეტის გამგეობას (თამაზ ჯინჭარაძე).
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მისამართზე - ჭავჭავაძის ქ. №4.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის

შემსრულებელი *მიხეილ უნგიაძე*

ვიზირებულია,

იურისტი *ედიშერ ჯიბუტი*